საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№2705 2019 წლის 26 დეკემბერი ქ. თბილისი

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 25 თებერვლის №326 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, შეტანილ იქნეს ცვლილება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 25 თებერვლის №326 განკარგულებაში და განკარგულების ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ და „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონებით მისთვის გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განახორციელოს კრიმინალური დოკუმენტური მინისერიალის გადასაღებად საჭირო საქონლისა და

მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა 2019-2020 წლების განმავლობაში.“.

2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ უზრუნველყოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №247 ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა, რომლის საფუძველზეც მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებები სახელშეკრულებო ღირებულების ფარგლებში განხორციელდება 2019-2020 წლების განმავლობაში.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**